მეხუთე კლასი
მიმოხილვა, ფინალი

ტესტის ჯამური ქულაა 100. თემატურად იყოფა ორ ნაწილად. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი 30 დავალებისგან.

I ნაწილი – ტექსტის გააზრება. (40 ქულა)

ტესტში წარმოდგენილია ტექსტი ან ნაწყვეტი, მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და გაიაზროს ტექსტი. მოსწავლემ უნდა აღიქვას ინფორმაცია, დააკვირდეს დეტალებს, განასხვაოს ფაქტები და განსაზღვროს ტექსტის მთავარი აზრი. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.

II სავარჯიშო – ლექსიკა, ფრაზეოლოგია და გრამატიკა. (60 ქულა)

ტესტის მეორე ნაწილი მოიცავს გრამატიკულ და ლექსიკურ დავალებებს. ტესტში მოსწავლემ უნდა ამოიცნოს ნაცვალსახელები და განასხვავოს პირის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ჯგუფები. შემოწმდება მართლწერის ელემენტარული ნორმების ცოდნა. ტესტი მოიცავს კითხვებს არსებითი სახელების, ზმნების, სინონიმების და რიცხვითი სახელების შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს სულიერი და უსულო საგნების გარჩევა, რთული და მარტივი სიტყვების გამორკვევა, ბრუნვების სწორად ამოცნობა და სიტყვის მნიშვნელობის გაგება.

მაგალითი:

რომელი სიტყვა გამოხატავს საგნის ფერს?

ა) ლურჯი

ბ) პატარა

გ) გრძელი

დ) მაღლა

რომელი სიტყვა გამოხატავს ადგილს?

ა) სკოლაში

ბ) გუშინ

გ) კეთილი

დ) მალე